ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2025 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება *IP v. Quirin Privatbank AG, C-655/23, ECLI:EU:C:2025:655*

მოკლე მიმოხილვა:

საქმე, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხებოდა პირადი ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად არაქონებრივი ზიანის დადგენას. კერძოდ, გერმანიაში რეგისტრირებულმა კომპანიამ, რომლის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიაზეც მოსარჩელეს ჰქონდა განაცხადი შეტანილი, მოსარჩელისთვის განკუთვნილი შეტყობინება გაუგზავნა მესამე პირს. შეტყობინებით კომპანია უარს ამბობდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ ანაზღაურებაზე და სთავაზობდა მას ალტერნატიულ, უფრო დაბალ ანაზღაურებას.

გერმანიის ეროვნულ სასამართლოში მოსარჩელე, სხვა საკითხებთან ერთად, ითხოვდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას და უთითებდა, რომ ზიანი მდგომარეობდა მის წუხილში, რომ მესამე პირს შეეძლო გადაეცა მისი პირადი ინფორმაცია ყოფილი ან მომავალი დამსაქმებლებისთვის, მოსარჩელესთან მიმართებით მოეპოვებინა უპირატესობა პოტენციური შეჯიბრებითი დასაქმებისას და ენახა ის დამცირება, რომელიც მოსარჩელემ განიცადა ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ჩაშლის შედეგად.

გერმანიის ეროვნული სასამართლოს წინაშე დაისვა საკითხი, უნდა გაეთვალისწინებინათ თუ არა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ბრალის ხარისხი მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82(1)-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის შეფასებისას. წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში ეროვნულმა სასამართლომ, სხვასთან ერთად, შემდეგი შეკითხვით მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს: მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82(1)-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს თუ არა რელევანტურ კრიტერიუმს ასანაზღაურებელი არაქონებრივი ზიანის ოდენობის შეფასებისას მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ან მისი თანამშრომლის ბრალის ხარისხი.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82(1)-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ავალდებულებს ეროვნულ სასამართლოებს, უზრუნველყონ დამდგარი ზიანის „სრული და ეფექტური“ ანაზღაურება, რაც შესაბამისად გამორიცხავს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ბრალის ხარისხის გათვალისწინებას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის შეფასებისას.

მნიშვნელოვანი ამონარიდები გადაწყვეტილებიდან:

69 [ევროკავშირის მართლმსაჯულების] სასამართლომ დაადგინა, რომ ანაზღაურების ფუნქციის გათვალისწინებით, რომელიც მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82-ე მუხლის ფარგლებში ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას გულისხმობს, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ მიყენებული ზიანის „სრული და ეფექტური“ ანაზღაურება, [...]. (ამასთან დაკავშირებით, იხ. 2023 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება Österreichische Post (Non-material damage in connection with the processing of personal data), C-300/21, EU:C:2023:370, 57-ე და 58-ე პუნქტები, და 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Patērētāju tiesību aizsardzības centrs, C-507/23, EU:C:2024:854, 34-ე პუნქტი).

70 [...] 82-ე მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების უფლება, განსაკუთრებით არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში, მხოლოდ ანაზღაურების ფუნქციას ემსახურება, რადგან 82-ე მუხლზე დაფუძნებულმა ფინანსურმა კომპენსაციამ უნდა უზრუნველყოს ამ რეგულაციის დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანის სრულად ანაზღაურება, და არ უნდა შეასრულოს შემაკავებელი ან სადამსჯელო ფუნქცია. (ამასთან დაკავშირებით, იხ. 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Agentsia po

vpisvaniyata, C-200/23, EU:C:2024:827, 153-ე პუნქტი, და 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Patērētāju tiesību aizsardzības centrs, C-507/23, EU:C:2024:854, 39-ე-41-ე პუნქტები).

71 ამგვარად, ერთი მხრივ, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82-ე მუხლის საფუძველზე მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობის დადგენა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ბრალეულობაზეა დამოკიდებული, რომელიც თავისთავად იგულისხმება, თუ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი არ დაამტკიცებს, რომ არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ზიანის გამომწვევ შემთხვევაზე, ხოლო, მეორე მხრივ, 82-ე მუხლი არ ითხოვს ამ ბრალეულობის სერიოზულობის ხარისხის მხედველობაში მიღებას აღნიშნული მუხლის საფუძველზე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას (2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Agentsia po vpisvaniyata, C-200/23, EU:C:2024:827, 154-ე პუნქტი).

72 უფრო კონკრეტულად, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82(1)-ე მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მხოლოდ ანაზღაურების ფუნქცია გამორიცხავს აღნიშნული დებულების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მიზნით მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მხრიდან განსახილველი რეგულაციის დარღვევის სიმძიმისა და შესაძლო წინასწარგანზრახულობის მხედველობაში მიღებას. აქედან გამომდინარეობს, [...], რომ არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის დამოკიდებულება და მოტივაცია, რათა გარკვეულ შემთხვევებში მონაცემთა სუბიექტმა მიიღოს რეალურად მიყენებულ ზიანზე ნაკლები ანაზღაურება, როგორც ფორმის, ისე ოდენობის თვალსაზრისით (ამასთან დაკავშირებით, იხ. 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Patērētāju tiesību aizsardzības centrs, C-507/23, EU:C:2024:854, 42-ე-45-ე პუნქტები [...]).

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი I
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR))“
ევროკავშირის დებულება	რეგულაციის (EU) 2016/679 82(1)-ე მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი და 413-ე მუხლის 1-ელი პუნქტი *(სარეგისტრაციო კოდი 040.000.000.05.001.000.223; 19/09/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**ბრალის ხარისხი**
ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტული სამართალი	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2025 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება IP v. Quirin Privatbank AG, C-655/23, ECLI:EU:C:2025:655

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე. ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს.